დანართი3

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

_____

დამტკიცებულია:

_____

____03.06.2026 წელი,ბრძ N 34

სამეცნიერო კვლევების ცენტრის დებულება

ქ.თბილისი

2026წ.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის

სამეცნიერო კვლევების ცენტრის

დებულება

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების - "დავით აღმაშენებელის სახელობის უნივერსიტეტის" (შემდეგში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო კვლევების ცენტრის (შემდეგში - ცენტრი) ფუნქციებს და უფლებამოსილებას, სტრუქტურას და საქმიანობის წესს, ხელმძღვანელობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებს.

1.2. სამეცნიერო კვლევების ცენტრი არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც საქმიანობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, შინაგანაწესის, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის საქმიანობის მომწესრიგებელი სხვა შიდასამართლებრივი აქტების შესაბამისად;

1.3. ცენტრი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე;

2. სამეცნიერო კვლევების ცენტრის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1. სამეცნიერო კვლევების ცენტრის მიზანია უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა; სამეცნიერო-კვლევითი პროექტების და მიმზიდველი საგანმანათლებლო პროგრამების შესათავაზებლად პარტნიორობის განვითარება ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე; ინსტიტუციაში დაგროვილი ცოდნის საზოგადოებისათვის გაზიარება;

2.2. სამეცნიერო კვლევების ცენტრის ამოცანებია:

ა) უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მხარდაჭერის ხელშეწყობა;

ბ) აკადემიური პერსონალის, მკვლევრებისა და სტუდენტების კვლევითი პოტენციალის განვითარება;

გ) სამეცნიერო კვლევების ხარისხის, პროდუქტიულობისა და შედეგების ზრდის ხელშეწყობა;

დ) ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობისა და პარტნიორობის განვითარება;

ე) სამეცნიერო პროექტების, გრანტებისა და კვლევითი ინიციატივების განხორციელების მხარდაჭერა;

ვ) კვლევის შედეგების გავრცელებისა და პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა;

ზ) უნივერსიტეტში ინოვაციური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული კვლევითი გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

2.3. სამეცნიერო კვლევების ცენტრის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია და სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ბ) ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევით ორგანიზაციებთან/ფონდებთან თანამშრომლობა;

გ) სამეცნიერო კონფერენციების, ფორუმების, სემინარებისა და სხვა კვლევითი ღონისძიებების ორგანიზება;

დ) სამეცნიერო პროექტების, საგრანტო პროგრამებისა და კვლევითი ინიციატივების შესახებ ინფორმაციის მოძიება, გავრცელება, დაინტერესებული პირებისთვის კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარება;

ე) აკადემიური პერსონალის, მკვლევარებისა და სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობა სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში;

ვ) უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესრულების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ეფექტურად წარმართვისა და კვლევების შედეგების დანერგვა-გამოყენებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ზ) საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტების ადმინისტრირება; საუნივერსიტეტო დაფინანსების ფარგლებში მიმდინარე კვლევების მონიტორინგი;

თ) კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;

ი) უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა-შეფასების პროცესების კოორდინაცია, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერა, კვლევის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვის კონტროლი;

კ) აკადემიური წლის ბოლოს უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემების, შედეგებისა და ინდიკატორების აღრიცხვა და ანალიზი;

ლ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ანგარიშების, ანალიტიკური ინფორმაციისა და რეკომენდაციების მომზადება

მ) უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური პატიოსნების დაცვა და პლაგიატის აღმოფხვრის ღონისძიებების დანერგვა;

ნ) სამეცნიერო პუბლიკაციების, კვლევის შედეგებისა და აკადემიური საქმიანობის პოპულარიზაციის მხარდაჭერა;

ო) უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ხელშეწყობა.

3. სამეცნიერო კვლევების ცენტრის სტრუქტურა

3.1. სამეცნიერო კვლევების ცენტრის სტრუქტურა შედგება ცენტრის უფროსის და სპეციალისტისგან;

3.2. სამეცნიერო კვლევების ცენტრის უფროსს და სპეციალისტს ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტში შესაბამისი თანამდებობებისათვის გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

3.3. სამეცნიერო კვლევების ცენტრს ხელმძღვანელობს უფროსი.

3.4. სამეცნიერო კვლევების ცენტრის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;

ბ) კოორდინაციას უწევს ცენტრში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას;

გ) პასუხისმგებელია დაკისრებული ფუნქციების დროულ და ჯეროვან შესრულებაზე;

ვ) ანაწილებს ფუნქციებს სპეციალისტებს შორის და ზედამხედველობს სამეცნიერო კვლევების ცენტრის თანამშრომლების სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;

ზ) წარმოადგენს წინადადებებს თანამშრომელთა წახალისების/მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, თანამშრომელთა სამსახურებრივი მივლინებების საჭიროების, კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების შესახებ;

თ) განსაზღვრავს სამეცნიერო კვლევების ცენტრის საქმიანობის ორგანიზებისა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს;

ი) უზრუნველყოფს ცენტრის საქმიანობაში კანონიერებისა და კონფიდენციალურობის დაცვას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

კ) პასუხისმგებელია ცენტრის თანამშრომლების მიერ შრომითი დისციპლინის დაცვაზე;

ლ) იხილავს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების პროექტების ვიზირებას;

მ) უნივერსიტეტის მენეჯმენტს წარუდგენს სამეცნიერო კვლევების ცენტრის მიერ მომზადებულ საკითხებს, პროექტებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;

ნ) უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის მიმდინარე და წლიურ ანგარიშებს;

ო) ახორციელებს ამ დებულებით და უნივერსიტეტის სხვა აქტებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და დავალებებს.

3.5. სამეცნიერო კვლევების ცენტრის თანამშრომლები უფროსის უშუალო მითითებით ახორციელებენ წინამდებარე დებულებით დადგენილ ფუნქციებსა და ამოცანებს.

3.6. სამეცნიერო კვლევების ცენტრის უფროსის დროებით მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით, მის მოვალეობას ასრულებს მთავარი სპეციალისტი.

3.7. სამეცნიერო კვლევების ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით, ხოლო ცენტრის ფუნქციების სათანადოდ განხორციელებისათვის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები წარმოადგენს შესაბამის თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ნაწილს. მათ შორის, სამეცნიერო კვლევების ცენტრის უფროსისთვის, გარდა ამ მუხლის 3.4. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაო მოვალეობებისა, სამუშაო აღწერილობით შეიძლება დადგინდეს დამატებითი ძირითადი და დეტალური ფუნქციები, სამეცნიერო კვლევების ცენტრის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

4. სამეცნიერო კვლევების ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

4.1. სამეცნიერო კვლევების ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორის ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტით.

5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

5.1. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.